ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

33 (10020) • 26 agvisto • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

კოალიცია „ქართული ოცნების“ რაიონულ შტაბს ჯერ-ჯერობით უფროსი არ ჰყავს

გაზეთი „ალიონი“

კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნით არსებული დაპირისპირება შტაბის თავმჯდომარის არჩევაზეც აისახა. პარასკევს, მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის სახლში გამართულმა შეხვედრამ, რომელსაც ადგილობრივი კოალიციის ლიდერები, „ქართული ოცნების“ რეგიონული კოორდინატორი და შტაბის თავმჯდომარე ესწრებოდნენ შედეგი ვერ გამოიღო.

როგორც მედიასთან მოკლე კომენტარებში აღინიშნა, კოალიციაში შემავალი პარტიების ადგილობრივ ლიდერებს აქვთ შეკითხვები კოალიციის შიგნით, რომელზეც პასუხების გაცემის შემდეგ აირჩევენ კოალიციის შტაბის ადგილობრივ თავმჯდომარეს.

ქრიატიან-დემოკრატები საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ხელწერებს აგროვებენ

სოფ. მაკვანეთში, გოჩა გოის ოჯახში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე იმყოფებოდა. ქრისტიან-დემოკრატები მორალისა და ტრადიციული ცხოვრების წესის შენარჩუნების მიზნით, საკონსტიტუციო ცვლილებებს ითხოვენ. ამისთვის ისინი 200 000 ხელმოწერის შეგროვებას აპირებენ.

– ერთ სქესიანი ქორწინებების აკრძალვის მიზნით ეს არის საქართველოს მასშტაბით ხელმოწერების შეგროვების კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს საკონსტიტუციო პაკეტში ცვლილებების შეტანას. უკვე შევაგროვეთ 30 ათასი ხელმოწერა. ჩვენ იმედი გვაქვს ხელმოწერებს ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის მოქალაქეები შეუერთდებიან – განაცხადა პარტიის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ.

ქრისტიან-დემოკრატების ხელმოწერის კამპანიას გოჩა გოის ოჯახის წევრები და მეზობლებიც შეუერთდნენ.

სხდომა ხმაურით, ბრალდებებით...

გაზეთი „ალიონი“

21 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას თავდაპირველად 23 დეპუტატი ესწრებოდა. 13 საკითხი განიხილეს და შესაბამისი დადგენილებებიც მიიღეს.

ქალაქის სასაფლაოების თემა აქტუალურია

ამ თემას საკრებულოსა და საკრებულოსთან არსებული დარბაზის სხდომებზე რამდენიმე წინასწარი განხილვა მიეძღვნა. ამჯერად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესი დამტკიცეს. თითოეულ კომლზე, სასაფლაოს მოვლისათვის სავალდებულო გადასახადი 50 თეთრი იქნება თვეში. არსებული წესი ქალაქის სასაფლაოებზე ვრცელდება, თუმცა როგორც აიპის ხელმძღვანელმა ვოვა სალუქვაძემ განაცხადა, დაფინანსების შემთხვევაში შესაძლებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სასაფლაოს მოეშახურონ.

ბიუჯეტში მორიგი ცვლილებებია

ამ სხდომაზეც როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან: გეგმიდან ამოიღეს ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის ხარჯი – 40 000 ლარი;

საპროექტო-საექსპერტიზო მომსახურების ხარჯი დაზუსტდა, 30 000 ლარით განისაზღვრა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის , ხოლო სოფლის პროექტებისათვის –27 687 ლარი;

გეგმაში შეიტანეს სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის –1 176 400 ლარი, ხოლო საწვავისათვის – 3 000 ლარი.

ალტერნატიული ხის საწვავი „ბრიკეტი“

მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის თამაზ სალუქვაძის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის გათბობისათვის 300 კუბური მეტრი შეშა უნდა დამზადებულიყო, რისთვისაც სავარაუდოდ 500 კუბური მეტრი ხე-ტყე უნდა მოჭრილიყო. გამოჩნდა ფირმა, რომელიც ხის ანარჩენებისაგან მაღალტექნოლოგიურად ამზადებს შეშის ალტერნატიულ საშუალებას, ხის საწვავს „ბრიკეტს,“ რომლის ერთი ტონა 450 ლარი ღირს. ამ თემაზე წინასწარ იმსჯელა საკრებულოს შესაბამისმა კომისიამ და ამჯერად საკრებულომ მისცა აიპს თანხმობა „ხის საწვავი ბრიკეტის“ შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერით.

▶▶▶ გვ-2

პრესრელიზი

ფრთხილად, ქალაქში ასინეთა დადის!

„გურიის მოამბის" საიტზე დაიდო წერილი ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს და საქ. რესპუბლიკური პარტიის რაიონული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარეების დ. დარჩიასა და ტ. მიქატაძის გუშინდელი შეხვედრის შესახებ სათაურით- „სკანდალი: კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერების საიდუმლო შეხვედრა".

მინდა განვმარტო, რომ შეხვედრა არ შეიძლება ყოფილიყო საიდუმლო, რადგან მის შესახებ წინასწარ იცოდა კოალიციის რამდენიმე წევრმა და იგი მიმდინარეობდა ქალაქის ცენტრში, ხალხმრავალ უბანში, მრავალსართულიანი ბინების პირველ სართულზე, რესპუბლიკური პარტიის ოფისში ღია ფანჯრებითა და კარებით. საიდუმლო შეხვედრისთვის არ გაგვიჭირდებოდა მოხერხებული და მყუდრო ადგილის გამონახვა. ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო შეხვედრა მომავალ დღეს დაგეგმილი იმ მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ, რომელზეც უნდა განხილულიყო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რაიონული შტაბის ჩამოყალიბების დეტალები. იქ არაფერი არ თქმულა ისეთი დამალული, რომელზეც თითოეული ჩვენთაგანს ღიად, საჯაროდ ან ერთმანეთის წინაშე არ გვითქვამს, პირიქით აზრთა სხვადასხვაობა, განსხვავებული პოზიციები, თუნდაც დაპირისპირება ცალკეული საკითხის გადაწყვეტისას თუ ცალკეული პიროვნებების ქმედებების შეფასებისას ეს აბსოლუტურად მისაღები, ჯანსაღი პროცესია, რაც ზოგადად კოალიციებში მეტი ალბათობით არსებობს, ვიდრე ერთი პარტიის შიგნით. ვინც ამაში სკანდალურს ხედავს ეს მის არაჯანსაღ ფსიქიკაზე მიუთითებს.

მე პირადად სკანდალურს სხვა მომენტში ნამდვილად ვხედავ. კერძოდ, შეხვედრის მიმდინარეობისას ჩემს ტელეფონზე შემომავალ ზარებს არ ვპასუხობდი, დასასრულს, ოფისის ახლომდებარე ბინებიდან დამირეკეს, თუ როგორ მოიპარა მალულად „გურიის მოამბის" გამომცემელი ვ. მენაბდე ღია ფანჯრებთან, შემდეგ ქურდულად შემოვიდა ოფისის კარებში, ფარულად ყურს უგდებდა ჩვენს საუბარს და სურათებიც გადაიღო. მეტიც, იციან ის ადამიანებიც, რომლებმაც ვ.მენაბდეს შეატყობინეს შეხვედრის შესახებ და ოფისის გარე პერიმეტრიდან იცავდნენ მას შესაძლო მოულოდნელობისგან.

ამიერიდან ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გაჩნდა ოზურგეთელთა ცხოვრებაში-თითოეული მათგანს თურმე იმის მოლოდინი უნდა ჰქონდეთ, რომ საკუთარ ოჯახებშიც კი, სამზარეულოში, საძინებელსა თუ აბაზანაში მაგიდის ან საწოლის ქვეშ ქურდულად შემოპარული და დამალული ვ. მენაბდე შეიძლება დაგხვდეს და ფარული ჩანაწერი გაუკეთოს. ეს, ჩემი აზრით ნამდვილად იმსახურებს საზოგადოების მხრიდან ყურადღებასა და განსჯას. ქალაქს ყავს ასინეთა და ყველას სიფრთხილე გვმართებს!

ასე რომ ჩვენთვის უკვე ნათელია ვისგან მოდის ამ ბინძური კამპანიის შეკვეთა, განხორციელება და რა მიზნები აქვს მას.

პირველი, ეს არის ჩემი და დ. დარჩიას დისკრედიტაციის მცდელობა. ამჯერად, იძულებული ვარ, საჯაროდ ვაღიარო, რომ ჩემსა და ვ. მენაბდეს შორის უთანხმოება რამდენიმე წელია გრძელდება. მე არასდროს დამიმალავს ჩემი განწყობები, რომ იგი, როგორც, „რუსთავი-2" კორესპოდენტი

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

26 აგვისტო ორშაბათი	27 აგვისტო სამშაბათი	28 აგვისტო ოთხშაბათი	29 აგვისტო ხუთშაბათი	30 აგვისტო პარასკევი	31 აგვისტო შაბათი	1 სექტემბერი კვირა
მზე, ღრუბელი +17+25	მზე, ღრუბელი +18+26	მზე, ღრუბელი +16+25	მზე ღრუბელი +16+26	მზე, ღრუბელი +18+26	მზე, +17+27	მზე +18+28

სხდომა ხმაურით, ბრალდებებით...

გერბი და დროშა

როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა საკრებულოს სხდომაზე თქვა, საქართველოს 14 მუნიციპალიტეტს არ აქვს გერბი და დროშა. თუმცა ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული გერბი საკამათოა. ოზურგეთში წინა მოწვევის საკრებულომ შექნა გერბის და დროშის სამუშაოთა ორგანიზებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფი. კომისიამ გარკვეული ეტაპი გაიარა, თუმცა საბოლოო შედეგს ვერ მიაღწიეს. ჰერალდიკის საბჭოს რეკომენდაციით, კიდევ ერთხელ ცხადდება კონკურსი. სამუშაო ჯგუფს ავთანდილ მექვაბიშვილი ჩაუდგება სათავეში. კონკურსში გამარჯვებულს ფულადი ჯილდო გადაეცემა.

ქვა-ღორღის მოპოვებამ პრობლემები შექმნა

ბოლო წლებში გაზეთმა „ალიონმა," არაერთი სტატია გამოაქვეყნა მდინარე ნატანების აუზში ქვიშა-ხრეშის ინტენსიური მოპოვების შესახებ. მარტო მერიის თემის ტერიტორიაზე ათეულობით ფირმა წესების დარღვევით ეწევა ინერტული მასალების მოპოვებას. მოსახლეობა კარგავს საყანე ფართობებს, ხოლო სახელმწიფო და შესაბამისად კვლავ მოსახლეობა მნიშვნელოვან ნაგებობებს. ინერტიული მასალების არასწორმა მოპოვებამ მწყობრიდან გამოიყვანა მერიალაითურის დამაკავშირებელი ხიდი, რომლის აღდგენა სახელმწიფოს 3 მილიონი ლარი უჯდება, ხოლო აგვისტოში, წყალდიდობისას, დაზიანდა ცენტრალური გაზსადენი.

საკრებულომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ქვიშა-ხრეშის მომპოვებელი ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლის მიზნით, (მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში) შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე თამაზ სალუქვაძე უხელმძღვანელებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ანგარიში

საკრებულომ მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის დირექტორის გიგა ხარაბაძის ანგარიში მოისმინა 2012-2013 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარაბაძეს კვალიფიციურად ჰქონდა მომზადებული სათქმელი და რაც კი ამ ცენტრს უმუშავნია, მაქსიმალურად წარმოადგინეს. ხარაბაძემ ცენტრის პოზიცია წარმოადგინა ჩაის კონცეფციასთან დაკავშირებით და ზოგადად სოფლის მეურეობის სტრატეგიაზე ისაუბრა. მისი თქმით, მსოფლიოში ჩის მომხმარებელთა რიცხვი იზრდება. უარი უნდა ვთქვათ გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე. უნდა გვქონდეს სერთიფიცირებული სანერგე მეურნეობები.

—„მეცხოველეობაში უნდა გადავიდეთ ხელოვნურ განაყოფიერებაზე. ამ დარგის სპეციალისტი თამაზ კილაძე დიდ მუშაობას ეწევა მეცხოველეობის გაძლიერებისათვის, ახალი ჯიშების დანერგვისათვის.

— ჩვენ უნდა მივაწოდოთ ცენტრალურ ხელისუფლებას წინადადებები—თქვა გიგა ხარაბაძემ.სოფლის მეურნეობის სამინისტროს—ოზურგეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის გიორგი ჭყონიას ინფორმაციაც ანალოგიურ თემებს ეხებოდა. ჭყონიას თქმით, ოზურგეთში 8900 ჰექტარი ჩაის ფართობიდან დარჩენილია 3000 ჰექტრამდე. მისაბაძია ფირმა „ვანრიკის" მუშაობა და მოცვის კულტურა მეტად უნდა გაშენდეს. ისინი ჟოლოს და უეკლო მაყვლის წარმოებასაც გეგმავენ. ეს სამსახური სიმინდს დაბალრენტაბელურ კულტურას უწოდებს და მათი რეკომენდაცია ამ კულტურის ჩანაცვლებას ითვალისწინებს(?!). დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ გიგა ხარაბაძის მუშაობა დადებითად შეაფასა, ხოლო ჭყონიას შეახსენა, დაბა ლაითურში ინვესტორების შემოსვლით მოსახლეობა რჩება უმიწოთ.. ჭყონიას თქმით, პრობლემა მოგვარდება.

ჩხაიძეების მარანი

„ასკანელი ძმების" პროდუქცია ღვინის ბაზარზე პოპულარულია. რამდენიმე წელია ძმები მშობლიური სოფლის —ასკანის ბედზე ფიქრობენ. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ლევან ნინიძემ აღნიშნა, ძმები ჩხაიძეები სოფ. ასკანაში ღვინის მარანს, მცირე ღვინის ქარხანას და ჩაის სახლს აშენებენ. ისინი ძველი გურული ვაზის ჯიშების აღდგენაზეც ფიქრობენ და ამ მიზნით 15 ათას ძირ „ჩხავერის," „ალადასტურის," „კლარჯულის," „საკმიელას", „ჭეიშვილის" და სხვა ჯიშის ვენახის ნერგებს შემოიტანენ მოსახლეობაში დასარიგებლად.

.რეპლიკები

ძალიან კოჰაბიტაციურად ხართ ნაციონალებთან, ნაციონალებისაა პროკურატურაც და სასამართლოც—მიმართა დეპუტატებს ლელა ნაცვალაძემ. რას მოხმარდა სტიქიით დაზარალებულთათვის გამოყოფილი 450 ათასი ლარი, რამდენია დახარჯული?—დასვა კითხვა ლელა ნაცვალაძემ.

—420 ათასი უკვე დაიხარჯა— უპასუხა გამგებლის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ...

—როგორც წინა სხდომაზე შევთანხმდით, გამგებელს ანგარიში უნდა წარმოედგინა საკრებულოს სხდომაზე—450 ათას ლარზე.

—სამართალდამცავების დასკვნას ველოდებით —უპასუხა საკრებულოს თავმჯდომარემ.

მედია საკრებულოს ედავება

2005 წლის 16 ივლისის ხანძარმა სხვა ორგანიზაციებთან ერთად დააზარალა გაზეთები. „ალიონს" ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ყოფილ აგრესამრეწველო გაერთიანების შენობაში 200 კვ. მეტრზე მეტი ფართი ჰქონდა უვადო უზურფრუქტით გადაცემული. ამავე შენობაში ჰქონდათ სამუშაო ოთახები ორ სხვა გაზეთს. „ალიონი" 2005 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ითხოვდა გადაეცათ მისთვის, როგორც დაზარალებული ორგანიზაციისათვის ფართი, მაგრამ...

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულომ გაზეთ „გურიის მოამბის" დამფუძნებელს ვლადიმერ მენაბდეს მოუსმინა. მისი თქმით, 2010 წლის 13 მაისს, „გურიის მოამბეს"ქალაქის მერიის ყოფილ შენობაში გამოეყო 66,4 კვ. მეტრი ფართი, ხოლო 2012 წლის შპს „ოზურგეთის პრესკლუბს" გადეცა 262 კვ. მეტრი ფართი.

წელს, 16 ივლისს, მენაბდის მოთხოვნის საფუძველზე გაუქმებული იქნა ხელშეკრულება გაზეთ „გურიის მოამბესთან." თუმცა საკრებულომ სტატისტიკურ სამსახურზე ფართის გადაცემის მოტივით, გააუქმა მეორე ხელშეკრულება „ოზურგეთის პრესკლუბთანაც,"რომელიც სასყიდლიანი უვადო უზურფრუქტით ჰქონდა გადაცემული.

გამომცემელმა საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებას უკანონო და დაუსაბუთებელი უწოდა და იგი ზეწოლით ახსნა.

საკრებულოს თავმჯდომარე ცდილობდა აეხსნა, რომ მას არ გამოუცია ფართის დატოვების შესახებ განკარგულება და ეს გაფრთხილების წერილი იყო...

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა დასვა კიხვა, რომ საკრებულომ ფართის თაობაზე ხომ არა გაზეთს, არამედ პრესკლუბს მისწრა?

ეს თემა დასრულდა გაზეთის გამომცემლის პოზიციით, რომ ისინი არ დატოვებდნენ დაკავებულ ფართს...

პრეტენზიები ნაციონალ დეპუტატებსაც გააჩნიათ

ერთ დროს უმრავლესობა, ახლა კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში დარჩენილი ერთგული წევრები საკრებულოს მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამდნენ. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა —ძლიერი თვითმმათველობა"-ს თავმჯდომარის მიხეილ გოგოტიშვილის განცხადებით ფრაქციას რამდენიმე თვეა არ მიუღია ხარჯები და არ უფინანსებენ სპეციალისტს, როცა სხვა ფრაქციებს ეს პრობლემა არ აქვთ. გოგოტიშვილის თქმით, ეს საკრებულოს მხრივ ზეწოლაა ფრაქციაზე.

ავთანდილ სურგულაძემ უპასუხა, რომ ფრაქციას პრობლემებს არ უქმნიან და ისინი დაფინანსებას მიიღებენ.

ვასილ ჩიგოგიძე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ინიშნება

გაზეთმა „ალიონმა" ვებ-გვერდზე „alion-ge" გამოაქვეყნა ექსკლუზიური მასალა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მოსალოდნელი საკადრო ცვლილების შესახებ.

საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შექმნილმა სარეკომენდაციო საბჭომ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე თეატრის ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელის ოთარ კუტალაძის და ყოფილი დირექტორის, ვასილ ჩიგოგიძის კანდიდატურა განიხილა.

ჩვენ ვწერდით, რომ საბჭოში მეტი მხარდამჭერი ვასილ ჩოგოგიძეს ჰყავდა. როგორც სანდო წყარომ გვაცნობა, ვარაუდი გამართლდა სარეკომენდაციო საბჭომ სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე დანიშნად კულტურის მინისტრს ვასილ ჩიგოგიძის კანდიდატურა წარუდგინა.

პრესრელიზი

ფრთხილად, ქალაქში ასინეთა დადის!

და „გურიის მოამბის" გამომცემელი ემსახურებოდა, „ნაციონალური მოძრაობისა" და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ინტერესებს. მახსოვს, როგორ დამემუქრა იგი, რომ მე გამანადგურებდა, რასაც მოყვა მის ოფისში ჩემი ვიზიტი და რედაქციის თანამშრომლების წინაშე მისგან „პასუხის მოთხოვნა". ამის შემდეგ ჩემი სახელი და გვარი „გურიის მოამბის" ფურცლებზე დაახლოებით ორ წელზე მეტ ხანს არ გამოჩენილა-დარწმუნებული ვარ დავალებული ჰქონდა, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოვეხსენებინე, რის საფუძველსაც არანაირად არ ვიძლეოდი. როგორც ჩანს ვ. მენაბდის ასეთი დამოკიდებულება ჩემს მიმართ ისევ გრძელდება.

მეორე, ეს ბინძური კამპანია ემსახურება რაიონში კოალიციის ცალკეულ წევრებს შორის, არსებული უთანხმოების გაღრმავებას მიმდინარე არჩევნების პროცესში, რაც ვ. მენაბდისა და მის უკან მდგომი ჯგუფის აზრით ნეგატიურად იმოქმედებს „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის შედეგებზე ოზურგეთში.

ამას გარდა, კიდევ მინდა აღვნიშნო ის, რაც თვალში მომხვდა სტატიის გაცნობის დროს. ის რაც თითქოს ჩემგან არის ნათქვამი არ არის ჩემი ლექსიკა და საუბრის მანერა. მე არ მჩვევია ადამიანების, მითუმეტეს პარტნიორების კნინობით ფორმაში მოხსენიება. მე შეიძლება ვიყო და ვარ გულწრფელი, მართალი და მკაცრი შეფასებებში, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ დავიცვა ეთიკის ნორმები. ჩვენ მამაკაცები ვართ და ასეთ არასაჯარო, პრივატულ საუბრებში უცენზურო გამონათქვამებსაც თავისი ადგილი აქვს.

აშკარად ჩანს რომ იმ ერთსაათიანი აუდიო ჩანაწერის ბეჭდურ ვარიანტში, რომლის გამოქვეყნებასაც ვ. მენაბდე ორშაბათს გვპირდება, მრავლად იქნება კონტექსტიდან ამოვარდნილი, ვ. მენაბდის ზემოთხსენებულ მიზნებში შემავალი და ძირითადად შავ პიარზე გათვლილი დეტალები.

მწამს, რომ ოზურგეთის საზოგადოებამ ბოლო წლებში ბევრი რამ დაინახა, ისწავლა და გადააფასა. ასეთი შემთხვევები კიდევ უფრო დააფიქრებს და ნათლად წარმოაჩენს ცალკეული პიროვნებების, ჯგუფებისა და ინსტიტუტების როლსა და ადგილს ოზურგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმედი მაქვს ოზურგეთის საზოგადოების ჯანსაღი შეფასების!

ტიფო მიქატაძე
საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის
თავმჯდომარე
23.08.2013

თამარ ნადირიძის განცხადება

„ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე თამარ ნადირიძემ სოციალურ ქსელებში შემდეგი სახის განცხადება გაავრცელა

„ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია ეხმაურება გაზეთის "გურიის მოამბე" ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ გაერთიანებული კოალიციის "ქართული ოცნების" ადგილობრივი ლიდერების სკანდალურ ჩანაწერს, სადაც კოალიციის ლიდერები არ ერიდებიან ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა მიმართ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს, მაგრამ ვინაიდან ეს მათი პირადი საუბრის ნაწილია ჩვენ ამ ნაწილის პოლიტიკური შეფასებისაგან თავს შევიკავებთ და მათი შინაგანი მრწამსის შეფასება საზოგადოებისათვის მიგვინდვია.

ჩვენთვის მათი საუბრიდან მნიშვნელოვანია ის, რომ ნაციონალებთან ძალიან კომფორტულად კოჰაბიტირებულ „ქართული ოცნების" ლიდერებს, აშკარად დაავიწყდათ საზოგადოების დაკვეთა - დანაშაულებრივი პოლიტიკური ძალის გაუვნებელყოფა და სამართლიანობის აღდგენა და საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ბურჯანაძის გამარჯვებას, „რებრენდირებული ნაციონალების"(„განახლებული" ნაციონალების) გამარჯვება ურჩევნიათ. ეს აზრი მხოლოდ ადგილობრივ რესპუბლიკელს - ტიფო მიქატაძეს, არ ეკუთვნის, ამ აზრს აშკარად აფიქსირებენ უფრო მაღალი კალიბრის რესპუბლიკელებიც მასმედიის საშუალებებთან და ამასვე გვიჩვენებს საკადრო პოლიტიკაც.

„ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ოცნების ადგილობრივი ე.წ. ლიდერების მოქმედება ნამდვილად არ ჯდება არანაირ პოლიტიკურ სტანდარტებში და თვლის, რომ აშკარად სახეზეა როგორც თვითმმართელობის, ასევე სახელისუფლებო პარტიის კრიზისი, რაც გამოწვეულია "ოცნების" მაღალჩინოსანთა სამსახურეობრივი მოვალეობებისადმი ანტისაზოგადოებრივი და დანაშულებრივი ქმედებებით.

„ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერი ბევრი ღირსეული და საღად მოაზროვნე ადამიანია, რომელთაც არ გაუჭირდებათ ზემოთხსენებული სამარცხვინო ქმედებების სწორად შეფასება და სწორედ მათი არჩევანი იქნება ყველაზე ჯანსაღი პოლიტიკური ძალის „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობის" გამარჯვების საწინდარი კოჰაბიტირებულ პოლიტიკურ ვაკხანალიაზე.

სახლი, რომელშიც ცხოვრობენ...

წვიმიანი დღეების შემდეგ ოზურგეთში მზემაც გამოანათა, ცა მოიწმინდა. მანქანის ფანჯრებიდან ჩქარი კადრით შეამჩნევთ ქუჩებში, სკვერებში, მაღაზიების წინაც მზეს მიფიცხებულ ქალებს, კაცებს, ბავშვებს... მანქანა ანასეულის მიმართულებით უხვევს და დაახლოებით 10 წუთში ხანდაზმულთა სახლთან ჩერდება....

ანასეულის ხანდაზმულთა სახლი 2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის'' ინიციატივით შეიქმნა, პროექტი კი იაპონიის საელჩომ დააფინანსა და ამისთვის 99725 ამერიკული დოლარი გამოყო, რაც შეეხება პროგრამულ დაფინანსებას, ამას საკუთარ თავზე ვჯანდაცვის სამინისტრო იღებს სათემო პროგრამის ფარგლებში ვაუჩერული სისტემით.

ერთსართულიანი შენობა ლამაზი ეზოთი ნაძვების გარემოცვაში მშვენიერი სანახავია, შეამჩნევთ რამდენიმე ხანდაზმულსაც, ზოგიერთი საუბრობს, ზოგიც მარტო ზის და ისვენებს... ჭიშკრის გაღების შემდეგ დაინახავთ ერთ-ერთ მომვლელსაც, რომელიც სახლში შეგიპატიჟებთ, სადაც 17 ხანდაზმული ცხოვრობს... ოთახში ტელევიზორი ჩაურთავთ და დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს...

მომვლელი ხანდაზმულებს სტუმრის მოსვლის შესახებ აცნობებს, გააცნობს მათ ახალმისულს და ოთახიდან გადის... 10 ადამიანის თვალები ღიმილით მზვდება... საუბარიც არ ეზარებათ, პირველ რიგში, აღნიშნავენ, რომ საკმაოდ კარგი გარემო აქვთ შექმნილი და თავსაც კარგად გრძნობენ...

80 წლის კუკური ტყიბულიდან ჩამოვიდა, იგი უკვე 4 თვეა ანასეულის ხანდაზმულთა სახლში ცხოვრობს, ამბობს, რომ საქმის კეთება უყვარს და ამიტომ ზოგჯერ ბაღში ყვავილებს უვლის და ბოსტანშიც ცდილობს, მომვლელებს დაეხმაროს, სიამოვნებს, როცა კონცერტებს მართავს ოზურგეთიდან ასული სხვადასხვა ანსამბლი. იმასაც გვიმხელს, რომ თავადაც მუსიკოსი იყო, სალამურზე უკრავდა, ამიტომ კონცერტები და მუსიკაც ძალიან უყვარს.... იგი ოთახში კიდევ ერთ მამაკაცთან ერთად ცხოვრობს, რომელთანაც მეგობრობს კიდეც... ბატონი კუკური საკმაოდ მხიარული რესპონდენტი აღმოჩნდა, იგი პირველი იყო, ვინც საუბარი დაიწყო და დანარჩენებს თითქოს მაგალითი მისცა, უკვე ყველას სურდა საკუთარი ისტორიების მოყოლა.... თუმცა სანამ ახალ ისტორიებს მოგიყვებოდეთ, მანამ ერთ-ერთ საძინებელში შეგახედებთ, სადაც 2 საწოლი დგას, მაღალი კარადა, მაგიდა რამდენიმე სკამით, ოთახს საკუთარი სააბაზანო აქვს, ფანჯრებზე კი ლამაზი ფარდებია ჩამოკიდებული... ამ საკმაოდ კომფორტულ ოთახს მშვენიერი ხედი აქვს, ბაღს გადაჰყურებს...

მალე უკრაინელი ანა გამომელაპარაკა, ისიც, ბატონი კუკურის მსგავსად, 80 წლისაა, ღიმილით ამბობს, რომ რაც ხანდაზმულთა სახლში ცხოვრობს, გასუქდა, თუმცა წონაში მომატება არ უნდა და ფიქრობს, რომ ცოტა დაკლებაა საჭირო... ანა ძირითადად მარტო ზის, ტელევიზორს უყურებს, ნაკლებად კონტაქტურია, ამბობს, რომ სხვებთან არც სალაპარაკო აქვს რაიმე და არც საკამათო, თავს მშვენივრად გრძნობს მაშინ, როცა მარტოა... საუბრის დროს ოთახში მომვლელი შემოდის, თვალს ადევნებს იქვე მსხდომ ხანდაზმულებს, რომელიმეს ხომ არ სჭირდება რაიმე, იგი უკვე 1 წელია ამ სახლში მუშაობს, აქ გასაუბრების გავლის შემდეგ მოხვდა, მასთან ერთად კიდევ 2 მზრუნველია, თუმცა სმენის მიხედვით მუშაობენ, მან სასადილო ოთახიც დამათვალიერებინა, რომელშიც ერთი ქალბატონი სადილობდა მარტო, როგორც მზრუნველმა თქვა, მას სპეციალური კვება სჭირდებოდა, რადგან დიაბეტიკია , იმავე ოთახში შეგიძლიათ ნახოთ ხანდაზმულების მიერ შექმნილი ლამაზი ნივთები, რომლებსაც თიხისგან, სანთლებისგან, ფერადი ქაღალდებისგან აკეთებენ, ასევე ნახავთ ნახატებსაც... სასადილო ოთახიდან გადავინაცვლეთ სამზარეულოში, სადაც მზარეული ხანდაზმულთათვის სადილს ამზადებს, როგორც მზარეული თინათინი ამბობს, ის ხანდაზმულთათვის სხვადასხვანაირ კერძს ამზადებს, ძირითადად ბოსტანში მოყვანილ ინგრედიენტებს იყენებს, რომ საჭმელი, გემრიელთან ერთდ, სასარგებლოც იყოს... რაც შეეხება სპეციალურ საკვებს, რომელიც დიაბეტით დაავადებულ ქალბატონს სჭირდება, იგი შეთანხმებულია პირად ექიმთან. ასევე ხანდაზმულებს ემსახურებიან ფსიქოლოგი და ოკუპაციური თერაპევტიც.

რუსუდანი, რომელიც ფილოლოგია და დღეს ხანდაზმულთა სახლში ცხოვრობს, ამბობს, რომ ძალიან უხარია, როცა სახლში მოძღვარი ამოდის და მასთან საუბრის შესაძლებლობაც ეძლევა, სარგებლობს სახლის ბიბლიოთეკითაც. გვიმხელს, რომ აქ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა, მართალია, ხანდაზმულები ზოგჯერ კამათობენ, მაგრამ მომვლელების დახმარებით ყველაფერი მალე გვარდება და პრობლემაც გადაჭრილია...

ხანდაზმულები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათი მომვლელები საუკეთესოები არიან და მათთან ურთიერთობა სასიამოვნოა. ერთმა ქალბატონმა ისიც კი თქვა, რომ აქციებს მოვაწყობთ, თუკი მომვლელებს შეგვიცვლიანო... წამოსვლის ხანს საკმაოდ ბევრი სურათი გადავიღე, რამაც ხანდაზმულები ძალიან გაამხიარულა, გამომშვიდობებისას კი მთხოვეს, რომ კიდევ მივსულიყავი მათთან, ასე რომ, მომავალ შეხვედრამდე!

ხატია ჭანიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გურიის წარმომადგენლობა 2013 წლის 27 აგვისტოს (სამშაბათს), 12 საათზე, თხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ფასების ხელოვნურად შემცირებასთან დაკავშირებით ატარებს აქციას ქ. ოზურგეთში, თეატრალური (ზვიად გამსახურდიას სახელობის) მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

რატომ არ წავედი დოღზე

ნუგზარ ასათიანი

ისევე როგორც გურიაში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთათვის ბახმარო ასოცირდება ლამაზ ბავშვობასთან, ბევრ მეგობართან და დოღთან, რომელიც ძირითადად 19 აგვისტოს, ფერიცვალების დღესასწაულზე იმართებოდა. იმ დროს ცნობილ ცხენოსანს, ლაზარე ცინცაძეს არანაკლები ადგილი ჰქონდა ჩვენს მეხსიერებაში, ვიდრე თბილისის ,,დინამოს''ცნობილ ფეხბურთელებს: მესხს, მეტრეველს, იამანიძეს....დრო იცვლება, მაგრამ მნიშვნელოვანი ფასეულობები სამუდამოდ რჩება ადამიანების მეხსიერებაში. დღეს ბახმაროში ჩვენი დიდი სახლი აღარ დგას, რომელიც ზაფხულის პაპანაქება დღეებში მთელს სანათესაოს იტევდა. ჩვენც წლები მოგვემატა და ცხოვრებაც უფრო დამძიმდა, მაგრამ ყველას როდი შეუცვლია ადამიანური ურთიერთობები ...ჩემი მეხსიერების ნახევარსაუკუნოვან არქივს თუ გადავხედავ, ბახმაროში გამართული დოღის 90 პროცენტზე მეტს ვესწრებოდი. წელს პირველი შემთხვევაა დოღზე წასვლის სურვილი არ მქონია. თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ...შარშან, 18 აგვისტოს ბახმაროში ავედი. მეუღლე, შვილი და ძმისშვილი ისვენებდა და დოღზე დასწრების ,,თადარიგი'' წინასწარ დავიკავე. იმ უბანს ვესტუმრე, რომელთანაც წლები მაკავშირებდა. მშენებლობის ქუჩაზე, ჩვენი ნასახლარის გარშემო მხოლოდ ერთი სახლი შემორჩა. ახლა ამ სახლის მეპატრონეს ვესტუმრეთ. საღამო ხანი იყო და ფანჯრიდან ვხედავდით, თუ როგორ შემოდიოდა კურორტზე პოლიციელების კოლონები. ,,მიშა და სანდრა გვსტუმრობსო''—გვითხრა მასპინძელმა და ჩვენთვის გასაგები იყო პოლიციელების ასეთი კონცენტრაციის მიზეზი...19-ში დილით ფერიცვალების ეკლესიაში მივედით. მეუფე იოსები ატარებდა წირვას. ყველაფერი ლამაზად მიდიოდა. წირვის დასრულების შემდეგ ეკლესიიდან გამოსულები გაგვაკირვა კურორტის შესასვლელში მოწყობილმა კორიდორმა. პოლიციელები მხოლოდ ახალგაზრდა ნაციონალების კოლონებს ატარებდნენ. გზას უკეტავდნენ ჩვეულებრივ მოქალაქეებს.—ხალხი არა ხართ, ცოლშვილთან მივდივარ, ბარში უნდა წავიყვანო—ეხვეწებოდა პოლიციელს ახალგაზრდა მამაკაცი.—დამთავრდება დოღი და გაგიშვებთ—იყო მკაცრი პასუხი.მძღოლის პროტესტს, -აქ 5 საათი როგორ ვიდგეო, —მისი პოლიციის კორდონის სიღრმეში ,,გაჩოჩება'' მოჰყვა.დაახლოებით 12 საათისთვის გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზღვის დონიდან 2050 მეტრზე, ბახმაროს შემოსასვლელში, იქ სადაც ადრე პოლიციის საგუშაგო იყო, პოლიციის დიდი კორდონი იდგა და ,,ქართული ოცნების'' მაისურიან ახალგაზრდებს არ ატარებენო.ამ დროისათვის პოლიციის არაერთი ავტომანქანა და დიდი ავტობუსი დაიძრა დასახელებული ადგილისაკენ. ვინაიდან ტაქსის მძღოლებმა უარი გვითხრეს გადაყვანაზე, ჟურნალისტები პიკეტის ადგილზე ფეხით წავედით. ხშირ ნისლში ვხედავდით, გზის გასწვრივ, მაღლობზე, ყოველ 30 მეტრში შავფორმიანები იდგნენ. დაახლოებით 30 წუთში მივედით პიკეტის ადგილზე. მაშინ, როდესაც ცენტრალური მედიასაშუალებების ჟურნალისტები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, ჩვენ გადაადგილების უფლება არ მოგვცეს. ზუსტად ამ დროს პიკეტს დიდი ავტობუსი მოადგა და რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული 50-მდე შავფორმიანი გადმოვიდა. ჩვენგან დაახლოებით 50 მეტრში, ,,რეალ ტვ''-ს ჟურნალისტი იდგა შავფორმიანების გვერდით. მან პოლიციელებს რაღაც უთხრადა ხელი ჩვენკენ მოუთითა. მივხვდით, ,,განსაკუთრებული ყურადღების'' ქვეშ ვექცეოდით. ხშირი ნისლით ,,ვისარგებლეთ'' და ნისლში ,,გავუჩინარდით''. 2002 წელს ამ გზით ჩვენი სასიქადული მწერალი ოტია იოსელიანი მივიყვანეთ ბახმაროს ამოსავლელში, გორაკზე მდგარ ხის ჯვართან. მაშინ მზიანი დღე იდგა,—ახლა კი ბახმარო ნისლში და წყდიადში გახვეულიყო.შემოვლითი გზით მივედით ,,ქართული ოცნების'' აქტივისტებამდე. როგორც მომავალმა პარლამენტარმა თემურ ჩხაიძემ გვითხრა, სულ 70-მდე ,,ქართული ოცნების'' აქტივისტი აპირებდა დოღზე დასწრებას, მაგრამ 300-მდე პოლიციელი და სპეცრაზმელი ,,საიმედოდ'' იცავდა მათ.იმ დროს, როდესაც ,,ქართული ოცნების'' აქტივისტები ,,რუსთავი 2''-ის ჟურნალისტებთან მომხდარ კონფლიქტის შესახებ გვიყვებოდნენ შავფორმიანი ოფიცრის ,,ბრძანება''გავიგონე:—,,შეყარეთ ავტობუსებში!!!'' იმ დროს, როდესაც ჩვენ პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდით, შავფორმიანებმა ალყაში მოგვიქციეს. ,,ქართული ოცნების'' აქტივისტები მიკროავტობუსებში ,,შეყარეს'' ხოლო ჩვენ, (მე, ჩემი მეუღლე, — ჟურნალისტი ნინო ნიკოლაიშვილი, ჩემი ვაჟი და ძმისშვილი) ალყაში მოგვიქციეს და ჩვენი პროტესტის შემდეგ, ოფიცერმა გვიბრძანა, გზის კიდეში, ხრამთან ვდგარიყავით მანამ, სანამ ახალ ბრძანებას არ ,,მიიღებდნენ..''ჩვენ გარშემო მეგრულ აქცენტზე მოსაუბრე 12-მდე ახალგაზრა შავფორმიანი იდგა.—გაატარეთ ,,ჩვენიანია, არაა იმ სიაში''—გვესმოდა მსუბუქი ავტომანქანის გამოჩენისთანავე. მძღოლები მადლიერების ნიშნად უღიმოდნენ მათ ,,ბედნიერები''გზას აგრძელებდნენ ბახმაროსაკენ...—თქვენ სამშობლოს უნდა ემსახუროთ და არა ერთი კაცის ახირებას—მიმართავდა სპეცრაზმელებს ჟურნალისტი ნინო ნიკოლაიშვილი... სპეცრაზმელები საპასუხოდ ცივად გადმოგვხედავდნენ და უფროსის მორიგ ,,ბრძანებებს'' ელოდებოდნენ.. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ ,,ბრძანება''მიიღეს და გვითხრეს: —პოლიციის კორდონის გავლით შეგვეძლო გადავადგილებულიყავით.... ,,ალაიაში გაგვატარეს'' თუ არა შავი ,,სპრინტერი'' წამოგვეწია. ოზურგეთლები იყვნენ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლები ბახმაროში მიდიოდნენ ფერიცვალების დღესასწაულის აღსანიშნავად..ჩემს ნიშნზე, მიკროავტობუსი გაეჩერებინათ ნაციონალების ერთ-ერთმა ,,სახემ'' ოზურგეთელ მძღოლს ხელის აქნევით ანიშნა, —გზა გააგრძელეო... ჩვენი ხმაურიანი პროტესტის შემდეგ მიკროავტობუსი გაგვიჩერს და კურორტის ტერიტორიაზე ჩამოგვიყვანეს...პრეზიდენტის წასვლისთანავე ბახმაროში ზაფხულში მოსული თოვლივით გაქრა მისი ,,ამალა,''დაახლოებით ორი ათასამდე პოლიციელი და სპეცრაზმელი.საღამოს, ახალი ნაგებობების გვერდით, სპეციალურ სცენაზე თბილისელმა და ოზურგეთელმა ,,ვრსკვლავებმა ''ნაციონალური მოძრაობისადმი მიძღვნილი კონცერტი გამართეს... გაზეთმა ,,ალიონმა''19 აგვისტოს, ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის აქტის შესახებ პრესაში დაბეჭდა. ველოდებოდით, ადგილობრივი პოლიცია, პროკურატურა, დაინტერესდებოდნენ მომხდარით, თუნდაც გაგვესაუბრებოდნენ. ველოდით, რომ გურიის მარალჩინოსანნი სიტყვით მაინც გამოხატავდნენ თანადგომას... ჰოდა დღეს, როდესაც ვიცი იმ სახეებიდან ვინც ადამიანებს ატერორებდნენ, ან მათ ნამოქმედარზე დუმდნენ, და ,,დუმილით'' უჭერდნენ ქვეყნის ნგრევას მხარს, დღესაც ,,თბილ''სკამებზე სხედან... არ გამჩენია სურვილი დოღზე წასვლის. არც ლაზარე ცინცაძე დამვიწყებია და ბევრი ლამაზი ,,ბახმაროობა''

alion.ge 19.08. 2013

ლევან ქავჭარაძის სახელი აჭის ხეობიდან დედამიწას გადაწვდა

გაზეთი „ალიონი“

კარგი წარმატებები აქვთ ოზურგეთის სპორტსკოლის ლიხაურის სკოლის მოჭიდავეებს, რომლებმაც არაერთ ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ პირველობებზე ისახელეს თავი. ეს ამ სკოლის მწვრთნელის, ენერგიული და მიზანდასახული მწვრთნელის ალექსანდრე ბოლქვაძის დამსახურებაა.

58 კგ. წონით კატეგორიაში ლიხაურელმა ლევან ქავჟარაძემ დიდ წარმატებებს მიაღწია.

წელს ლევანმა ჯერ მიხეილ სალაძის საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა I ადგილი, რასაც საქართველოს პირველობაზე ასევე I ადგილი მოჰყვა. ნიჭიერი მოჭიდავე საქართველოს ნაკრებთან ერთად თურქეთში, საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა და აქაც პირველი ადგილი მოიპოვა. ლევანს ამ გამარჯვებით გზა ევროპის პირველობისკენ გაეხსნა და აქ დაბაბულ ბრძოლაში დათმო ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი. II ადგილი არ არის პატარა მიღწევა და იგი მსოფლიო პირველობაზეც მიიწვიეს.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად სერბეთის ქალაქ ზრუნჯანინში მსოფლიოს 52 ქვეყნის მოჭიდავე შეიკრიბა.

ლევანი აქაც 58 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. პირველ წრეში აშკარა უპირატესობით დაამარცხა ყირგიზი მოჭიდავე. მეორე წრეში მოუგო ევროპის წლევანდელ ჩემპიონს სომეხ არმენ მელიქიანს– 7:2. მესამე წრეში

დაბაბული ბრძოლა დათმო მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან –გერმანელ მოჭიდავესთან. შემდეგ უზბეკი სპორტსმენი დაამარცხა და III ადგილისათვის ბრძოლაში 20 წამში რუსეთის წარმომადგენელი 7: 0 დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ვულოცავთ ლევან ქავჟარაძეს და მის მწვრთნელს ალექსანდრე ბოლქვაძეს ამ წარმატებას.

სიკეთით აღსავსე ქალბატონი

დედა მიყვარსო, რომ უთხრა ვინმეს,
შემოგხედავს და დაიწყებს სიცილს,
რადგან ეს არის ისეთი რამე,
რაც უთქმელადაც სუყველამ იცის.

ვინ არ იცნობს ღვაწლმოსილ ქალბატონს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, –ექიმ-ლაბორანტს, ყველას ქომაგსა და დამხმარეს, შვილებისა და შვილიშვილებისათვის თავგადაკლულ დედასა და ბებიას, ზოგჯერ მკაცრს, მაგრამ სამართლიანს. თანამშრომლები მას მოფერებით „დედუკას“ ეძახით. მას, თავისი შესანიშნავი ღიმილით, სიცოცხლის ხალისი და სითბო შემოაქვს ადამიანებში. უსაზღვროდ შეყვარებულია ღმერთზე, სარწმუნოებაზე და მედიცინაზე. იგი მაგალითია არა მარტო „ძლევაის“ თანამშრომლებისათვის, არამედ მთელი ქალაქისათვის.

ვულოცავთ ქალბატონ ზემფირა ჩავლეშვილს დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ, ნაყოფიერ ღვაწლს სამედიცინო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

სიყვარულით, საკონსულტაციო-სამკურნალო ცენტრ „ძლევაის“ თანამშრომლები,

გომისმთობა

13 აგვისტოს, კურორტ გომისმთაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მესამედ გაიმართა სახალხო დღესასწაული „გომისმთობა.“ ამ ღონისძიებას წლების მანძილზე წინ უძღვოდა დღესასწაული „შუამთობა,“ რომელიც აგვისტოს პირველ რიცხვებში იმართებოდა და მასში ძირითადად მწყემსები და კურორტზე დამსვენებლები მონაწილეობდნენ. კურორტ გომისმთაზე ქრისტიანული ტაძრის აშენების საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაისვა, მაგრამ მომდევნო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ეს პროცესი შეაჩერა. ამჟამად საინიციატივო ჯგუფის მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ერთ-ერთ ბორცვზე, რომელიც შავიზღვისპირეთს გადმოჰყურებს, (ზღვის დონიდან 2300 მ) საფუძველი ჩაეყარა წინასწარმეტყველ ილია თეზბითელის სახელობის ტაძრის მშენებლობას. დეკანოზმა მამა მათემ (გორდელაძე), მამა იოსებმა (ნაკაიძე), მამა პეტრემ (წიტაიშვილი) ტაძრის მშენებლობა აკურთხეს. მამა მათემ ნაკურთხი ქვები ჩააწყო ტაძრის ბალავარში. ტაძრის პროექტის ავტორი მხატვარი ვახტანგ მამეიშვილია. პროექტის მიხედვით ქვის მხოლოდ საძირკველი იქნება. აიგება ხის ტაძარი, რომლის სიგრძე 10,5 მეტრი, სიგანე–8,5 მეტრი, ხოლო სიმაღლე 14 მეტრი იქნება. მშენებლობის ინიციატორი თემურ ჯახვა და ზურაბ ჩხარტიშვილია. გომისმთაზე შეკრებილი საზოგადოების (სამივე მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, თანამშრომლები, პოლიცია და სხვა სამსახურები, სპორტსმენები, ჟურნალისტები) მონაწილეობით ტაძრის საძირკვლის ნაწილი ჩაისხა. უახლოეს დღეებში გაიხსნება სპეციალური ანგარიში, სადაც შემომწირველებს შეეძლებათ თანხის ჩარიცხვა. როგორც გვითხრეს, წელს მხოლოდ საძირკველი და კვარცხლბეკი ჩასხმება. ხის ტაძრის მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება. ხის მასალას ქობულეთის მუნიციპალიტეტის სატყეო სამსახური მიაწვდით. მშენებლობა გათვლილი იქნება ყოველგვარ კლიმატურ პირობებზე. პარალელურად სახალხო დღესაწაული გაიმართა. ხშირი ნისლის გამო არ ჩატარებულა ტურნირი მინი-ფეხბურთში, დოღი, მაგრამ შეჯიბრება გაიმართა მკლავმჭიდში, სადაც ოზურგეთის კულტურის ცენტრის თანამშრომელმა გოგა მახარაძემ გაიმარჯვა. გინესის არაერთგზის რეკორდსმენმა გოდერძი მახარაძემ ბურთის თავით კენწვლის ოსტატობით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. შემდეგ ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა „შვიდკაცა,“ „ვახტანგური,“ „ედელვაისი,“ და სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „გურია“ სახელდახელო კონცერტი გამართეს....

p.s კურორტ გომისმთაზე წინასწარმეტყველ ილია თესბიტელის სახელობის ტაძრის საძირკვლის ჩასხმის სამუშაოები დღესაც გრძელდება. ამ სამუშაოებს შპს "გზამშენი 18"ასრულებს. როგორც შპს "გზამშენის" უფროსმა თემურ ჯახვამ გვითხრა, ტაძრის მშენებლობას მაღაზია "კარგომ" და ვახტანგ ბერიშვილმა თითო ტონა ცემენტი გადასცეს.

alion.ge 14.08.2013

ა.(ა).ი.ჰ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი გაცნობებთ, რომ ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა სარეგისტრაციო საბუთების მიღება 1 სექტემბრიდან დაიწყება და 15 სექტემბრამდე გასტანს.

საბავშვო ბაღებში საალმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი 16 სექტემბრიდან განახლდება.

სოსო ლომჯარიას მონატრება



პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ. ტკივილს ვერ ვიტევთ გულში. რამდენი დღეა, რაც ზეციურ სასუფეველს შეუერთდა შენი ლამაზი სული.

26 აგვისტოს 56 წელი შეგისრულდებოდა. როგორ გიხაროდა ცხოვრება, გაცოცხლებდა შენი ახლობლების და მეგობრების სიყვარული.

განათლებული, მოკრძალებული, თავმდაბალი და სიკეთით სავსე იყავი. რამდენიმე თვეა, რაც დედა (ექიმი ნათელა ჯინჭარაძე) უკანასკნელ გზაზე გააცილე. კიდევ კარგი ვერ მოესწრო შენს გარდაცვალებას, მაგრამ გაუსაძლისი ტკივილი დაუტოვე. მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან. ვაი, რომ ძნელია უშენობა და ამ სატკივარს ვერ განკურნავს ვერაფერი. დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

შენი ოჯახი.

ჟორა გობრონიძის გახსენება



ძლიერ ტკივილიანი და მონატრებით დატვირთული 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი უსაყვარლესი და უტკბილესი ბაბუა ჟორა გობრონიძე წავიდა ჩვენი ოჯახიდან, რომელიც თავდაუზოგავი შრომით შექმნა ჩვენმა კეთილმა და საყვარელმა ბებია და ბაბუამ.

განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა ცხოვრება ბებიასათვის, რომელმაც შენთან ერთად 56 წელი გაატარა. პირველი კლასიდან ერთად მოდიოდით. თქვენ ხომ ერთმანეთის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოგედგინათ.

თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ პატიოსნად იცხოვრე ამ ქვეყნად, უაღრესად კეთილი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა იყავი. დატოვე მეუღლე, ქალიშვილი, სიძეები, შვილიშვილები და 6 შვილთაშვილი. ისინი მუდამ შენი მარადიული უკვდავებისთვის იცოცხლებენ. შენს სახელს შენს ოჯახში დავიწყება არ უწერია. ისევ გაიღება შენი ოჯახის ჭიშკარი, გაგრძელდება სიცოცხლე შენს ნაშრომ ოჯახში და ამით აგისრულდება შენი დიდი ოცნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი მოსიყვარულე შვილიშვილები: ნათია, ინგა, ია თოდრაძეები.

რძალი სულიკო ნაცვალაძე; შვილები გიორგი, დავით ნინიძეები; ქეთი დურგლიშვილი, ხათუნა ქურასბედიანი; შვილიშვილები ვაჟა, თამარი, მარიამ, თეონა ნინიძეები იუწყებიან **რომან ნინიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru